


ზიგმუნდ ფროიდი

50 პერსონა – მათი შექმნის ისტორია

2019-08-29



50 პერსონა – მათ შექმნეს ისტორია

ტომი
31

გამომცემლობა პალიტრა L

ჟურნალ “ისტორიანის” ბიბლიოთეკა

ავტორი **თამარ-ბარბარე თომაძე**

რედაქტორი დიდი იოსებაძე

კორექტორები: სვეტა კვარაცხელია, ნატალია ჩიმაკაძე

დისაინერი მიაკო ნადირაძე

ტექნიკური რედაქტორი ნატალია ახვლედიანი

პროექტის მენეჯერი ელისო რეხვიაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა რემო თხილიშვილი

© გამომცემლობა პალიტრა L, 2018

მისამართი: თბილისი, იოსებოძის ქ. #49

E-mail: book@palitra.ge; ტელ.: 238-38-71

www.palitra.ge

*** * ***

“ბიოგრაფის ყოველთვის უწევს ტყუილის თქმა, რაღაცის დამაღვა, შედამაზება, თვადიშაქცობა, საკუთარი უცოდინარობის შენიღბვა, რადგან სხვისი ცხოვრების შესახებ სიმართლის გაგება შეუძლებელია და შესაძლებელიც რომ გახდეს, გამოუსადეგარია, რადგან უკვე წარსულია. თანაც ხადხი სიმართლის ცოდნას არ იმსახურებს”.

მიგმუნდ ფროიდი

“ბიოგრაფის ყოველთვის არ უწევს ტყუილის თქმა, რაღაცის დამაღვა, შედამაზება, თვადიშაქცობა, საკუთარი უცოდინარობის შენიღბვა, რადგან სხვისი ცხოვრების შესახებ სიმართლის გაგება შესაძლებელია, მეტიც – საინტერესო და გამოსადეგარია, თანაც ადამიანები – თუ ყველა არა, ნაწილი მაინც – იმსახურებს სიმართლის ცოდნას”.

ჯორჯ თომფსონი,

მიგმუნდ ფროიდის ბიოგრაფი

პროლოგი

“ჩემი მშობლები ებრაელები არიან და მეც ყოველთვის ებრაელად ვთვლიდი თავს”.

მიგმუნდ ფროიდი

ავსტრია-უნგრეთის იმპერიის მთავარი ქალაქის მთავარ პარკში, პრატერში, ხელჩაკიდებული მამა-შვილი სვირნობდა.

მამა, ხუთ ათეულს გადაცილებული საშუალო შეძლების ებრაელი, ბევრის მნახვერ-გადამტანი, კომერსანტი იყო და ათიოდე წლის ცნობისმოყვარე ვაჟიშვილს თავისი მოხეტიალე ცხოვრების ამბებს უყვებოდა, გუნდაკლუდი.

— ერთხელ, ფრაიბერგში, ქუჩაში მივდიოდი, კარგად მეცვა, ახალი ბენჯის ქუდი მეხურა, თავი მომწონდა. მოულოდნელად ვილაც კაცი, როგორც აღმოჩნდა, იქაური კათოლიკე, მომვარდა, ქუდი მომგრიჭა, ტარახში გადამიგდო და დამიღრიადა: “აქედან მოწყდი, შე ურია, ტროტუარზე სიარულს როგორ ბედავ!..”

— მერე, მერე შენ რა ქენი? — ჰკითხა შვილმა და ისე შეშინებულმა შეხედა მამას, თითქოს ისევე ის კათოლიკე ადგა თავს მუქარით. სინამდვილეში, კათოლიკეზე მეტად იმ პასუხისა ეშინოდა, რომელიც მის არაბავშვურ შეკითხვას უნდა მოჰყოლოდა.

— მე ქუდი ავიღე, ტარახი ჩამოვწმინდე და ჩემი გზით წავედი. — იყო პასუხი.

მოხდა ის, რისიც ბიჭს ეშინოდა. კარმან-იაკობ ფროიდმა ის მთავარი ბმული ჩაწყვიტა მასსა და ვაჟიშვილს შორის, რომელსაც მამის პატივისცემა, მისით სიამაყე ჰქვია.

ტარახში მოსროდი ქუდის ამბავი მამასთან პირველ გაუცხოებას გამოიწვევს ათიოდე წლის ზიგმუნდ ფროიდისა, რომელიც მომავალში მამაშვილობასა და დედაშვილობაზე არსებულ ტრადიციულ წარმოდგენებს დაანგრევს და ყველაზე ტახუდადებულ, დაფარულ შრეებში შეახედებს კაცობრიობას.

მაშინ, პრატერში მოსეირნე პატარა ებრაელმა ბიჭმა ჯერ არაფერი იცოდა მომავალი აღმოჩენების, ვნებათაღვრისა და მის მიერ გადასატანი ომების შესახებ, ფართოდ გახედილი თვალებით შეჰყურებდა მამას, რომელიც მისი გმირის, ჰანიბალის მამად — ჰამიდკარად — წარმოედგინა.

როგორ შენატროდა შორეულ წარსულში მცხოვრებ, უშიშარ კართაგენელ მამა-შვილს ყმაწვილი ფროიდი! როგორ აღაფრთოვანებდა მათი შემართება, მათი დასამარცხებლად განწირული ბრძოლა რომისა და კათოლიკეების წინააღმდეგ.

ხშირად ძვრებოდა ცხრა წლის ჰანიბალის ტყავში, რომელსაც მამამ საჯაროდ დაადებინა ფიცი — ცხოვრების მიზნად რომაელებზე შურისძიება დაესახა.

ვერ ივარგა ჰამიდკარად კარმან-იაკობ ფროიდმა; ვერც თავად გაშადა ცხოვრებაში მხრები, როგორც უნდოდა და წარმოედგინა და ვერც შვილს შეაშვერა ხედი გარდაუვად ბრძოლებში. სუსტი აღმოჩნდა. ბიჭი მარტო უნდა გამკვავებოდა არაკეთილშინებლობით გადავსებული სამყაროს ორ მთავარ სასჯელს — ებრაელობასა და სიღარიბეს.

თავი I. OSTJUDEN

1789 წლის 7 მაისის ბრძანებულებით, ავსტრიის იმპერიაში მცხოვრებ ებრაელებს წინაპრების გვარი უნდა გამოეცვიათ და ახალი, გერმანული აეღოთ. გვარის არჩევის პატივი კარმან-იაკობის მამას, სოლომონს რგებია წიდად. “ფროიდე” გერმანულადაც და იდიშზეც სიხარულს ნიშნავს. “სიხარული” აურჩევია ზიგმუნდ ფროიდის ბაბუას გვარად...

“მამარგემის წინაპრების შესახებ მსმენია, რომ ისინი დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობდნენ რაინზე, კიორწი, საიდანაც აღმოსავლეთისკენ გაქცეულან მე-14 თუ მე-15 საუკუნეში, ებრაელთა დევნის გამო. მე-19 საუკუნეში კი, დიტვიდან, გარიციის გავლით, უკან დაბრუნებულან ავსტრიის გერმანულ ნაწილში”. – ჰყვებოდა ზიგმუნდ ფროიდი.

ყველა ებრაელმა კარგად იცოდა საკუთარი ისტორია და წმინდა წიგნი; იცოდა ადამის დაწყვეტისა და სამოთხიდან გაძევების, წარღვნისა და ნოეს კილოზის, აბრაამისა და სოლომ-გომორის, მოსესა და აღთქმული მიწისკენ 40-წლიანი სვლის, ისრაელიანთა ცოდვა-მადლის ამბები; იცოდა მითიც ებრაელი აჰასფერის შესახებ; იცოდა, როგორ სთხოვა გოდგოთის გზას შემდგარმა, ჯვრის სიმძიმით ოთხად მოკეცილმა იესომ ხელისაღ აჰასფერს: მცირე ხნით შევისვენებ შენი სახლის კედელთან, ამოვისუნთქავ და გზას განვაგრძობ. ხელისნის მკვახე პასუხიც ყველამ იცოდა: წადი, გზას დაადექ და იქ მოისვენო... მაცხოვრის ნათქვამიც იცოდნენ: მე კი დავადგები ჩემს გზას, მაგრამ, ამას იქით, მოსვენება არ გეღირსება, მუდმივად გზაში იქნებიო... ისიც ყველამ იცოდა, როგორ იქცა “მარად ურიად” აჰასფერი, როგორ ერგო დაუსრულებელი გზა, დევნა და მუდმივი ხეტიალი სასჯელად, რომელიც სხვა ბიბლიურ წყევდასთან ერთად, მის ხადხმეც გადანაწილდა მისხად-მისხად...

ზიგმუნდ ფროიდის მამა-პაპაც იძულებით გზას დაადგა შევიწროებასა და გადასახადებს გამოქცეული. ჭუჭყით, საფრთხითა და გაურკვეველი მომავლის შიშით სავსე გზას, რომელიც გარიციის პატარა სავაჭრო ქაღაქიდან, ტიბმენიციდან დასავლეთით – მორავიისკენ მიიკვანებოდა.

იმ დროს გარიცია ავსტრია-უნგრეთის ჭრებზე ჭრელი იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა და საკმაოდ ჩამორჩენილ მხარედ მიიჩნეოდა.

ხუთიდან ექვს მილიონამდე მერყეობდა მისი მოსახლეობის რიცხვი: ნახევარზე მეტი სრავური წარმოშობისა იყო – პოლონელები და მადროსები – დღევანდელი უკრაინელები; მერე გაპოლონელებულ-გაგერმანელებული და ებრაელებად დარჩენილი ებრაელები მოდიოდნენ; მერე – შედარებით მცირერიცხოვანი გერმანელები და უნგრელები, მერე კი – ბოშები და სომხები.

აღმსარებლობის თვალსაზრისითაც რთულად იყო საქმე, გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ კათოლიკე პოლონელები, უნიატი თუ მართლმადიდებელი რუსინები, ორთოდოქსი თუ თორის მიმდევარი – ანტიორთოდოქსი ებრაელები, დუთერანი თუ კადგინისტი გერმანელები...

ყველას თავისი ღმერთი ჰყავდა, თავისი რწმენა ჰქონდა.

ენაც რჯუდივით იყო არეული. უბრალო ხადხი ან მშობლიურ ენაზე დაპარაკობდა, ან უარგონით შეზავებულ იდიშზე, რომელიც ივრითისა და გერმანულ-სრავურ – არამეულის ნაზავს წარმოადგენდა.

ბიბლიურ ბაბილონს ჰგავდა გარიცია, სადაც მამალმერთს ენები აერია, აღამიანებს მისკენ და ერთმანეთისკენ სავადი გზები რომ დაჰკარგოდათ...

ვის აღარ გადაევლო საუკუნეების მანძილზე მათთვის: კიევის რუსეთს, რეჩოსპოლიტას – “პოლონეთ-დიტვის მეგობრობას”, უნგრეთს, მონღოლ-თათრებსაც კი. მე-19 საუკუნისთვის კი, რუსეთის იმპერია, პოლონეთი და ავსტრია-უნგრეთი გადასცემდნენ ერთმანეთს მის მიწებსა და ხადხს გარდამავად დროშასავით.